რეგისტრაციის N 61/36

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

WWW.SAO.GE

მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტების კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბება.

უმაღლესი განათლების ეფექტიანმა სისტემამ სტუდენტებს უნდა შეუქმნას ხარისხიანი განათლების მისაღებად საჭირო წინაპირობები, რაც მოითხოვს სასწავლო პროცესის სისტემატურ გაუმჯობესებასა და შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ განვითარებას.

წინამდებარე ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში განხილულია ამ მიმართულებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, გამოვლენილია ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

www.sao.ge
sao@sao.ge

© სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

31.10. 2016

მიმდინარე ნომერი: 61/36

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები ... 3

შემაჯამებელი მიმოხილვა ... 4

1. შესავალი ... 7

აუდიტის მოტივაცია ... 7

აუდიტის პრობლემა და კითხვები ... 8

აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია ... 9

აუდიტის კრიტერიუმები ... 11

2. ზოგადი ინფორმაცია ... 13

2.1 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ... 13

2.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ... 13

2.3 სტუდენტური დახმარების სერვისები ... 14

2.4 სტუდენტის აკადემიური მოსწრების ინდიკატორები ... 16

2.5 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება შერჩეულ უსდ-ებში ... 17

აუდიტის მიგნებები ... 19

3. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრება ... 19

3.1 კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები ... 19

3.2 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი ... 24

3.3 სტუდენტთა ლექცია/სემინარზე დასწრების ანალიზი ... 26

4. სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები ... 28

4.1 უსდ-ებში სტუდენტების დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ... 28

4.1.1 უსდ-ები ვერ ახერხებენ სტუდენტური დახმარების სერვისებით ინდივიდუალური სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას ... 29

4.1.2 სტუდენტების დახმარების სერვისების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის ნაკლებობა ... 30

4.2 ილიაუნის სტუდენტის შეფასების წესი არ ქმნის აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაციას ... 33

4.3 სახელმწიფო დაფინანსების არსებული სქემა ხელს არ უწყობს სტუდენტის მოტივაციას ... 36

5. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ... 38

5.1 უსდ-ები ვერ იღებენ სრულფასოვან უკუგებას დაინტერესებული მხარეებისგან ... 39

5.2 უსდ-ები ეფექტიანად არ რეაგირებენ მიღებულ უკუგებაზე ... 43

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები ... 50

ბიბლიოგრაფია ... 53

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

დაინტერესებული მხარე - სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სხვ.

თსუ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიაუნი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამინისტრო - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საფაკულტეტო კომისია - სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სტუ - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ცენტრი - სსიპ - განათლებისა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი **ACT** - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და სტრატეგიული კონსალტინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია

ENQA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია

GPA - საშუალო შეწონილი ქულა

შემაჯამებელი მიმოხილვა

ადამიანური კაპიტალის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (საქართველო 2020)[1] თანახმად, ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს უმაღლესი განათლების ძლიერი სისტემის განვითარება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა იმ კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, რომლებმაც აუდიტისთვის შერჩეული სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - მოიპოვეს ბაკალავრის ხარისხი. ანალიზმა გამოავლინა, რომ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა **64%-მა სწავლა საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაასრულა**.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაასრულა საბაკალავრო პროგრამები **იმ კურსდამთავრებულების საშუალოდ 40%-მა, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგები ჰქონდათ.** საშუალოზე დაბალია ასევე შერჩეული აქტიური სტატუსის მქონე **სტუდენტების შეფასებების 67%-ი[2].** ამასთანავე, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ დაკვირვების ჩატარების დღეებში შერჩეულ ლექცია/სემინარებზე **დასწრების საერთო მაჩვენებელი 15% იყო**.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ის წინაპირობები, რომლებიც სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლების შედეგებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაციას უნდა უქმნიდეს. კერძოდ, აუდიტის შესწავლის საგანი იყო **სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების სისტემა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული დახმარების სერვისები** და **საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები**.

იქედან გამომდინარე, რომ არსებული სქემის პირობებში, სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების შენარჩუნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში სტუდენტისგან **არანაირ დამატებით ძალისხმევას არ მოითხოვს, სტუდენტებს ნაკლები მოტივაცია აქვთ შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური მოსწრება**.

სტუდენტთა მოტივაციის ფაქტორი განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირობებში, როდესაც შერჩეული 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან **არც ერთს არ აქვს დანერგილი სისტემური და ქმედითი მექანიზმი**, რომელიც საშუალებას მისცემთ

[1] საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“.

[2] პროცენტული მაჩვენებელი მოიცავს სასწავლო კურსში კრედიტის მოსაპოვებლად აუცილებელი მინიმალური ზღვრის ქვემოთ არსებულ შეფასებებსაც.

სტუდენტების მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების მეშვეობით სწავლების ადრეულ ეტაპზე მოახდინონ სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირება და მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტებისთვის შესაბამისი დახმარების სერვისების შეთავაზება.

აქედან გამომდინარე, სტუდენტებმა თავად უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და მიმართონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით საგულისხმოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომელმაც გამოავლინა, რომ **რესპოდენტების 40% არ იყო ინფორმირებული, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასწავლო კურსის ფარგლებში მათ ინდივიდუალურ აკადემიურ კონსულტაციას სთავაზობდა,** ხოლო გამოკითხულ სტუდენტთა **88%-ს არ მიუმართავს დასაქმების სერვისისთვის ან არ ფლობს ინფორმაციას ასეთის არსებობის შესახებ.**

შერჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილი სტუდენტთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმების არარსებობის გამო, აღნიშნული სერვისები არ არის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, **სტუდენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა აღნიშნული სერვისების დახმარებით გაიუმჯობესონ აკადემიური მოსწრება და სრულად მიაღწიონ სწავლების შედეგებს**.

სტუდენტების მოტივაციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შექმნას პროფესიულ პროგრესზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესს. ამისთვის, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მუდმივად უნდა იზრუნონ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე სრულფასოვანი ინფორმაციის (უკუგების) მიღებასა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებაზე.

აუდიტის შედეგად ნაკლოვანებები გამოვლინდა როგორც დაინტერესებული მხარეებისაგან უკუგების მიღების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირებისა და განხორციელების ეტაპზე.

აუდიტმა გამოავლინა, რომ საქართველოს ტექნიკურ **უნივერსიტეტს არ აქვს დანერგილი სისტემური მექანიზმი** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში **კურსდამთავრებულების რეგულარულად და სრულფასოვნად ჩასართავად**, ხოლო სტუდენტებისგან მიღებული შეფასება ორიენტირებულია მხოლოდ ლექტორის საქმიანობაზე და ვერ აწვდის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სრულფასოვან ინფორმაციას სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის ისეთ ელემენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა: სწავლების მეთოდები, სასწავლო მასალა და სხვ.

უკუგების მიღების ეტაპზე არსებული ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში საჭირო**

ცვლილებების იდენტიფიცირებას და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას არ აქვს ქმედითი და სისტემატური ხასიათი.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში კურსდამთავრებულების ჩართულობის ნაკლებობა **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისაც** აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისი მექანიზმების არ არსებობის გამო, აღნიშნული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულება **ვერ იღებს სისტემატურ და სრულფასოვან უკუგებას**, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამებით დასახული სწავლის შედეგებისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეტ ძალისხმევას იჩენს სტუდენტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, **2012 წლიდან დღემდე აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ სტუდენტების მიერ გამოკვეთილი პრობლემური ტენდენციები უცვლელია** და ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტმა ვერ შეძლო ამ პერიოდის განმავლობაში მათზე ეფექტიანი რეაგირება**.

ანალოგიური ნაკლოვანება გამოიკვეთა **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც**. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ **ვერ უზრუნველყო დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებულ უკუგებაზე ეფექტიანი რეაგირება და გამოვლენილი ნაკლოვანებების სრულად აღმოფხვრა**.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ პოტენციალი შეუქმნან სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამებით დასახული სწავლის შედეგებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაცია და გააუმჯობესონ მათთვის მიწოდებული განათლების ხარისხი.

1. შესავალი

აუდიტის მოტივაცია

ადამიანური კაპიტალის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. ამ კონტექსტში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (შემდგომში უსდ-ებს) კრიტიკული როლი ენიჭებათ სტუდენტების საჭირო უნარებითა და ცოდნით აღჭურვასა და მათი მომავალი კარიერისთვის მომზადებაში.

ბოლო მონაცემებით[3] საქართველოში არსებულ უსდ-ებში აქტიური სტატუსის მქონე 132,000 -ზე მეტი სტუდენტია[4] ჩარიცხული. მათი 57% იღებს სახელმწიფო დაფინანსებას. აღნიშნულმა თანხამ 2015 წელს 74 მილიონი ლარი შეადგინა[5].

2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს[6], რაც გულისხმობს ევროპის ქვეყნებს შორის განათლების სისტემების დაახლოებასა და ჰარმონიზაციას. პროცესი მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას, მოქალაქეების დასაქმებას, მობილობის გაძლიერებასა და ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

შედეგად, საქართველოს უსდ-ებში დაინერგა 3 საფეხურიანი განათლება და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. დაფინანსების ძველი სისტემა ჩანაცვლდა სახელმწიფო გრანტითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემით. ზემოხსენებული სისტემური რეფორმების მიუხედავად, მრავალი გამოწვევა რჩება განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

ACT-ის[7] მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტინგენტის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ჩატარებული კვლევის[8] შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი აღნიშნავს უსდ-ში შემდეგი ნაკლოვანებების არსებობას:

---

[3] სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მონაცემები, 2015 წლის 1 ნოემბერი.

[4] სტუდენტების რაოდენობაში არ შედიან დოქტორანტები, რადგან სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტების დაფინანსება ხდება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, კვლევითი გრანტით, რაც არსობრივად და სტრუქტურულად, ასევე რაოდენობრივად, განსხვავდება სახელმწიფო სასწავლო გრანტისგან.

[5] სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მონაცემები, 2015 აკადემიური წლისთვის, 2015 წლის 1 ნოემბრის მონაცემების მიხედვით.

[6] ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2005 წელს http://www.mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo.

[7] ანალიზის და კონსულტირების ჯგუფი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და სტრატეგიული კონსალტინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია; http://www.act-gr.com/

[8] ACT - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა, 2012.

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეუსაბამო პრაქტიკული კომპონენტები;
- დამსაქმებლებთან პასიური თანამშრომლობა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასულ წელს ჩაატარა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრის) მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი[9]. აღნიშნულმა აუდიტმა გამოავლინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის არაერთი ხარვეზი. პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის შეფასების ფარგლებში აგრეთვე გამოვლინდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, უშუალოდ უსდ-ების მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსდ-ების მიერ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების სიღრმისეული გაანალიზება.

აუდიტის პრობლემა და კითხვები

აუდიტის მიზანია, სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შეაფასოს შერჩეული უსდ-ებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განათლების მისაღები ხარისხის მისაღწევად გაწეული ძალისხმევა, გამოავლინოს ნაკლოვანებები და შესაბამისი რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს მათ გამოსწორებას.

ამ მიზნით, აუდიტმა უპასუხა შემდეგ კითხვებს:

- სათანადოა თუ არა უსდ-ების მიერ განხორციელებული ღონისძიებები იმისთვის, რომ შეუქმნას სტუდენტებს მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაცია?
- რამდენად უწყობს ხელს უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სახელმწიფო სისტემა სტუდენტების მოტივაციას, ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მოსწრება?
- რამდენად განაპირობებს უსდ-ების მიერ დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სასწავლო პროგრამების განვითარების რეგულარულ და ქმედით პროცესს?

[9] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები;* ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 18.02.2016

აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიკვლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ **2011 წლიდან 2016 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით** განხორციელებული საქმიანობა. ანალიტიკური მიზნებისთვის ასევე გამოყენებულ იქნა წინა წლებისა და აუდიტის დასრულების დროისთვის ხელთ არსებული ინფორმაცია.

წარმომადგენლობითი შერჩევის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განიხილა სტუდენტთა ყველაზე დიდი კონტინგენტის მქონე უსდ-ები, რომლებიც დაფუძნებულია დედაქალაქში. შეირჩა 3 უსდ: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში - თსუ), **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში - ილიაუნი) **და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** (შემდგომში - სტუ).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის ფარგლებში უსდ-ებისგან მოიპოვა მონაცემები შემდეგ ორ ძირითად საკითხზე:

1. განათლების სფეროში პასუხისმგებელი პირების მიერ სტუდენტების აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებები;
2. უსდ-ებში სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

ინფორმაცია მოპოვებულ იქნა რიგი ინტენსიური კვლევების, დოკუმენტური ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად. სულ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 19 სხვადასხვა ინტერვიუ 3 უსდ-ში. გამოიკითხა 35 რესპონდენტი, მათ შორის: უსდ-ს საბჭოს, მენეჯმენტის, ცენტრალური ადმინისტრაციისა და პერსონალის წარმომადგენლები. აგრეთვე, აუდიტის ჯგუფმა 2015-2016 წლის გაზაფხულის სემესტრის მიმდინარეობისას აწარმოა დაკვირვება სტუდენტთა დასწრებაზე.

აუდიტის ჯგუფმა განახორციელა შერჩეული უსდ-ების **სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა და გააანალიზა მათი აკადემიური მოსწრება.** ამ პროცედურების შედეგები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის მესამე და მეოთხე თავებში.

კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრების ანალიზი

აუდიტის ჯგუფმა მთლიანობაში შეისწავლა ყველა იმ 6,885 კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრება, რომელთაც შერჩეულ უსდ-ებში საბაკალავრო პროგრამები 2014 წელს დაასრულეს. უფრო დეტალური ანალიზისთვის, შერჩეული კურსდამთავრებულების დიფერენციაცია მოხდა 2010 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამების ფარგლებში წაკითხულ საგნებზე

დარეგისტრირებული ყველა სტუდენტის შეფასება. შეფასებათა რაოდენობამ შეადგინა 61,138.

კურსდამთავრებულების გამოკითხვა

იმ 1,677 კურსდამთავრებულიდან, რომლებმაც 2010 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდების საფუძველზე მიიღეს 50%-იანი და მეტი სახელმწიფო სასწავლო დაფინანსება და 2014 წელს დაასრულეს ერთ-ერთი შერჩეული უსდ-ს საბაკალავრო პროგრამა, აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 123 (7%). 167 შერჩეული რესპოდენტიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 148-მა (89%).

სტუდენტების გამოკითხვა

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის საგანანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სულ 372 საგანი იქნა წაკითხული. 372 საგნიდან აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 18 საგანი, რომელზეც აღნიშნულ სემესტრში დაწერილი შეფასებები შედარებით დაბალი იყო. 18 საგანზე სულ დარეგისტრირებული იყო 3,027 სტუდენტი, საიდანაც შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა 362, ხოლო გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 284-მა (78%) რესპონდენტმა.

აუდიტის ანგარიშის მეხუთე თავში ასახულია შერჩეული 3 უსდ-ის **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ანალიზი.** ამ მიზნით აუდიტის ჯგუფმა შეარჩია უსდ-ებში 2 ყველაზე მოთხოვნადი და სტუდენტთა დიდი კონტინგენტის მქონე აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით დანერგილი მექანიზმების შესაფასებლად სხვადასხვა დოკუმენტური და შედარებითი ანალიზის მეშვეობით შესწავლილი იქნა შესაბამისი პროცესი.

კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2011 წლიდან დღემდე აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს ყველა ის ოქმი, რომლის საფუძველზეც შერჩეულ პროგრამებში განხორციელდა ცვლილება. აგრეთვე, დოკუმენტური ანალიზი ჩაუტარდა უსდ-ების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავდა პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს ან წარმოადგენდა ასეთი ცვლილების განხორციელების საფუძველს, მათ შორის:

- პროგრამების კურიკულუმები;
- სილაბუსები;
- წლიური ანგარიშები;
- კომისიებისა და საბჭოების ოქმები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები;
- უსდ-ების მიერ გამოყენებული კითხვარები;
- აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები.

ანალიზის პროცესში, შესწავლილ იქნა უსდ-ებში არსებული შიდა რეგულაციები, ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ძირითად კრიტერიუმად გამოიყენა განათლების ხარისხის განვითარების მიზნით შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტები[10], რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამებს არაერთი მიმართულებით უდგენს შესაბამის მოთხოვნებს. სხვა მოთხოვნებთან ერთად, აღსანიშნავია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვა და სწავლების ხარისხის განვითარებისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავება, რაც დეტალურად იქნება განხილული შესაბამის თავებში.

ანგარიშის მეოთხე თავში, შერჩეულ უსდ-ებში არსებული **სტუდენტების დახმარების სერვისების** შესაფასებლად, აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა სტუდენტების დახმარების სერვისების მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა.

აღნიშნული **სერვისების ხელმისაწვდომობისა** და მათ შესახებ სტუდენტთა **ინფორმირებულობის** მისაღები დონის განსასაზღვრად, აუდიტის ჯგუფმა იხელმძღვანელა კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით.

სახელმწიფო სასწავლო **დაფინანსების სქემაზე** მსჯელობისას გათვალისწინებულ იქნა ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა.

ანგარიშის ბოლო თავში, შერჩეული უსდ-ების მიერ **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების** მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესაფასებლად, აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა.

ანგარიშში წარმოდგენილი კრიტერიუმების მხარდასაჭერად გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო[11];
- შერჩეული უსდ-ების შიდა რეგულაციები;

[10] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლები: 13-17.

[11] სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, 2011.

- › განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანება[12];
- › ბოლონიის პროცესის დოკუმენტები[13];
- › უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში.

[12] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

[13] ევროპის განათლების მინისტრების ერთობლივი დეკლარაცია, ბოლონია, 1999 წლის 19 ივნისი; ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკე, პრაღა, 2001 წლის 19 მაისი; უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ბერლინი, 2003 წლის 19 სექტემბერი; უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი; უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: მზადება გლობალიზაციის გამოწვევებისთვის, ლონდონის კომუნიკე, 2007 წლის 18 მაისი; უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ლუვენი, 2009 წლის 28-29 აპრილი.

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა

უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში სამი საფეხურისგან შედგება:

- პირველი საფეხური - **ბაკალავრიატი** (240 კრედიტი);
- მეორე საფეხური - **მაგისტრატურა** (120 კრედიტი);
- მესამე საფეხური - **დოქტორანტურა** (180 კრედიტი).

საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად მსურველებმა უნდა ჩააბარონ შესაბამისი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.[14] აღნიშნულ გამოცდებში მიღებული ქულები ასევე განსაზღვრავს, მიიღებენ თუ არა სტუდენტები სახელმწიფო სასწავლო გრანტს სწავლის საფასურის დასაფინანსებლად.[15]

ზემოხსენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ სტუდენტებზე, რომლებიც ჩაირიცხებიან სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.[16] სახელმწიფო სასწავლო გრანტი შეიძლება მოიცავდეს სრულ (100%) ან ნაწილობრივ (70%, 50%, 30%) დაფინანსებას და იგი გარანტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში,[17] იმ პირობით, რომ სტუდენტი ინარჩუნებს აქტიური სტუდენტის სტატუსს.

2.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები[18]:

- **კოლეჯი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას;
- **სასწავლო უნივერსიტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად

[14] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52, პუნქტი 1.
[15] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 51, პუნქტი 4.
[16] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 63, პუნქტი 3.
[17] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №154/ნ „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3.
[18] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1.

ახორციელებს მეორე საფეხურის - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

- **უნივერსიტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურების ან სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

საქართველოში არსებული **31 ავტორიზებული უნივერსიტეტიდან** - 12 სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სსიპ-ია. ამავე დროს, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სსიპ-ია 29 სასწავლო უნივერსიტეტიდან - 7, ხოლო 15 კოლეჯიდან - 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება[19].

2.3 სტუდენტური დახმარების სერვისები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტური დახმარების სერვისებს თსუ-ში რამდენიმე სტრუქტურული სამსახურის მუშაობა უკავშირდება. **სტუდენტური სერვისების დეპარტამენტის**[20] მთავარი ფუნქციაა დიპლომების, დანართების, ოფიციალური ცნობებისა და სერტიფიკატების გაცემა მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. **სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის** მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს დასაქმების შესაძლებლობების აღმოჩენაში. **საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი** პასუხისმგებელია საჭირო კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებს, რომელთაც სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელება სურთ. **კურსდამთავრებულთა სამსახური** კურსდამთავრებულ სტუდენტებს უსდ-ში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ აწვდის ინფორმაციას.

სქემა 2.3.1: სტუდენტურ სერვისებზე პასუხისმგებელი დეპარტამენტები თსუ-ში

სტუდენტური სერვისების დეპარტამენტი	სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	კურსდამთავრებულთა სამსახური

თსუ-ში სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია **სტუდენტთა მართვის ელექტრონული სისტემა**, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დამოუკიდებლად გაიარონ აკადემიური რეგისტრაცია: აირჩიონ კურსები და თვალი ადევნონ აკადემიურ მოსწრებას. არსებული სისტემა ასევე საშუალებას აძლევთ მათ მოახდინონ ცალკეული ადმინისტრაციული საკითხების კომუნიკაცია.

[19] http://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo

[20] დეპარტამენტი სტრუქტურულად შედის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიაუნში სტუდენტური დახმარების სერვისების ძირითადი ნაწილი **სტუდენტური საქმეების დეპარტამენტშია** თავმოყრილი. აღნიშნული დეპარტამენტი სამი განყოფილებისაგან შედგება: **დასაქმება, დაბინავება და გაცვლითი პროგრამები; სტუდენტური კლუბები/კულტურა/სპორტი; უცხოელი სტუდენტები**. აღნიშნული დეპარტამენტის მიზანია სტუდენტებს, ლექტორებს, ადმინისტრაციულ და კვლევით პერსონალს შორის ურთიერთობის გაღრმავება. დეპარტამენტის თანამშრომლები ეხმარებიან სტუდენტებს დასაქმების შესაძლებლობებთან, სტაჟირებებთან, უცხოურ გრანტებსა და სტიპენდიებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებაში, მათი ინტერესებისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, სტუდენტური დახმარების სერვისებზე პასუხისმგებელი არიან ასევე შემდეგი დეპარტამენტები: **საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური**, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში, და **განვითარების სამსახური**, რომელიც ეხმარება სტუდენტებს ინსტიტუციური ან კვლევის განვითარებისათვის გარე დაფინანსების მოპოვებაში.

სქემა 2.3.2: სტუდენტურ სერვისებზე პასუხისმგებელი დეპარტამენტები ილიაუნში



ილიაუნში სასწავლო პროცესის მხარდაჭერა ხორციელდება ელექტრონული სისტემა - **არგუსი-თ**. აღნიშნული სისტემა ასახავს სტუდენტის პროგრესს პროგრამაში - ყველა გავლილ კურსსა და მიღებულ შეფასებებს. სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის ფუნქციის გარდა, არგუსში ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის, შეთავაზებული კურსების სასწავლო მასალა.

სალექციო კურსებისა და ცხრილების შესახებ სტუდენტების კონსულტაციას ილიაუნში კურიკულუმის ექსპერტები და კოორდინატორები ახორციელებენ. სტუდენტური დახმარების მიმართულებით ასევე აღსანიშნავია აკადემიური წერის ცენტრი და ინგლისური ენის კურსებში (ზოგადი მოდული) გამოყენებული ელექტრონული პლატფორმა - Myenglishlab. ილიაუნში ასევე დაინერგა პლაგიატის პრევენციის მექანიზმი, რომლის სისტემატიზაცია და უნივერსიტეტის მასშტაბით დანერგვა ილიაუნის მიმდინარე ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რაც შეეხება სტუ-ს, **სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის** ძირითადი ფუნქციები მოიცავს: კარიერულ სერვისებს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას. დანართების, ცნობების გაცემის კოორდინაციას ახორციელებს **სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი**, ხოლო **საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახური** მუშაობს სტუდენტურ გაცვლით პროგრამებზე.

სქემა 2.3.3: სტუდენტურ სერვისებზე პასუხისმგებელი დეპარტამენტები სტუ–ში



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასებათა აღრიცხვა **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის** მეშვეობით ხორციელდება, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს თვალი ადევნონ საკუთარ აკადემიურ მოსწრებას და მიიღონ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სამივე შერჩეული უსდ სთავაზობს სტუდენტებს ბიბლიოთეკის სერვისს და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად არის ჩართული, კონსულტაცია გაუწიონ სტუდენტებს ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

2.4 სტუდენტის აკადემიური მოსწრების ინდიკატორები

სტუდენტთა დასწრება და ქულები მათი აკადემიური მოსწრების მნიშვნელოვანი ინდიკატორებია. აქედან გამომდინარე, უსდ-ები რეგულარულად უნდა ახორციელებდნენ სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამის დაძლევაში მათი პროგრესის მონიტორინგს.

სტუდენტის მოსწრების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს - საშუალო შეწონილი ქულა (GPA). GPA საქართველოში აკადემიური მოსწრების შეფასების ფართოდ გამოყენებადი მეთოდი და საერთაშორისოდ მიღებული მექანიზმია. სტუდენტის GPA-ს მაჩვენებელმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების პროცესში. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტს სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ სურს.

კალკულაციის მეთოდში არსებული უმნიშვნელო განსხვავებების მიუხედავად, GPA-ს კონცეფცია მთელ მსოფლიოში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების

ჩათვლით, უცვლელია. აუდიტისთვის შერჩეული უსდ-ებიდან ორ უნივერსიტეტს, თსუ-სა და სტუ-ს, ასევე დანერგილი აქვთ GPA-ს დათვლის სისტემა თავიანთ სასწავლო პროცესში[21][22]. ხოლო ილიაუნი სტუდენტების მოსწრების შეფასებას საბოლოო საშუალო ქულით ახორციელებს[23].

2.5 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება შერჩეულ უსდ-ებში

შერჩეულ უსდ-ებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მსგავსი პროცედურები აქვთ დანერგილი. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. ამ პროცესში შესაძლოა ასევე ჩართული იყვნენ სხვა მხარეებიც: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული პერსონალი (ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ა.შ.).

ამის შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამა გადის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შემოწმებას (შესაბამის ფაკულტეტზე) და შესაფასებლად ეგზავნება უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოდიფიცირებული პროგრამა გადაწყვეტილების მისაღებად თანმიმდევრულად ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს (იხ. ქვემოთ მოცემული სქემა).

[21] სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 აპრილის №1126 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის ცვლილების შესახებ“.

[22] სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 23 იანვრის ბრძანება №01/01-01 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი №1.

[23] სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის №7 სხდომის გადაწყვეტილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი“.

სქემა 2.5.1: შერჩეულ უსდ-ებში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმი



საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაწყების მომენტიდან რეგულარულად უნდა ხდებოდეს მისი შეფასება და განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამის განახლება და მასში ცვლილებების შეტანა ზემოთ მოცემული სქემის შესაბამისად ხორციელდება. ამ მიზნით, უსდ-ები დაინტერესებული პირების გამოკითხვის გზით სხვადასხვა ინფორმაციას აგროვებენ.

სტუდენტთა გამოკითხვა ყველაზე ხშირად გამოყენებადი მექანიზმია, რომელიც საშუალებას აძლევს უსდ-ებს, სასწავლო კურსის შეფასების ფორმით მიიღონ შესაბამისი უკუგება, მაშინ, როდესაც კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ორიენტირებულია შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამის როლი კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაში.

არანაკლებ სასარგებლოა სხვა დაინტერესებული პირებისაგან (დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები, შესაბამისი სფეროს საერთაშორისო ან ადგილობრივი ექსპერტები) მიღებული უკუგება. დასახელებულ დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: მემორანდუმების, გამოკითხვის საშუალებით, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში მათი ჩართვით და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უნარებისა და კომპეტენციების მიმართ არსებული მოთხოვნის განსასაზღვრად, და საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები არაპრაქტიკული არ აღმოჩნდეს.

აუდიტის მიგნებები
3. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრება

აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა და გააანალიზა შერჩეულ 3 უსდ-ში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები. ანალიზის შედეგები დეტალურად არის განხილული მომდევნო ქვეთავებში.

3.1 კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები

კვლევის წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა ჯერ ყველა იმ კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრება, რომელმაც 2010 წელს ჩააბარა და 2014 წელს დაასრულა ერთ-ერთი შერჩეული უსდ. უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის, აუდიტის ჯგუფმა გამოიკვლია ყველა იმ კურსდამთავრებულის მოსწრება, რომელმაც 2010 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი შეფასების საფუძველზე მიიღო 50%-იანი ან მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტი. აგრეთვე, ანალიზის შედეგების შეჯამების მიზნით, შესწავლილ იქნა იმ კურსდამთავრებულების მოსწრებაც, რომლებმაც 2010 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში შედარებით დაბალი შედეგები აჩვენეს.

ქვემოთ განხილული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2014 წელს კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ შერჩეული 3 უსდ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრებით დაასრულა. 2010 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში შედარებით მაღალი შეფასების მქონე სტუდენტების შერჩევამ გამოკვეთა, რომ აღნიშნულმა სტუდენტებმა 2014 წელს შესაბამისი უსდ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრეს. აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ იმ სტუდენტებმაც კი, რომლებმაც სწავლის საწყის ეტაპზე მეტი ძალისხმევის გამოჩენის შედეგად ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი შედეგები აჩვენეს და მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პროცესში ვერ შეინარჩუნეს საშუალო აკადემიური მოსწრება.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს თსუ-ის, სტუ-ის და ილიაუნის საბაკალავრო პროგრამები **6,885-მა სტუდენტმა** დაამთავრა. კურსდამთავრებულთა რაოდენობა უსდ-ების მიხედვით ქვემოთ მოცემული დიაგრამის შესაბამისად გადანაწილდა:

დიაგრამა 3.1.1: 2014 წლის კურსდამთავრებულების რაოდენობა უსდ-ების მიხედვით



აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ზემოხსენებული **6,885 სტუდენტიდან 64%-მა უსდ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა.** აღნიშნული შედეგები უსდ-ების მიხედვით ქვემოთ მოცემულ დიაგრამაშია წარმოდგენილი.

საშუალო აკადემიურ მოსწრებად აუდიტის ჯგუფმა მიიჩნია სტუ-ისა და თსუ-ის შემთხვევაში 2.5 საშუალო შეწონილი ქულა (GPA), ხოლო ილიაუნისთვის 75 საშუალო სარეიტინგო ქულა, რაც დანარჩენი 2 უსდ-ის საზომი შკალით დაახლოებით 2.5 ქულას უდრის. ასევე, 75 ქულაა აღებული საშუალო მაჩვენებლად აუდიტის პერიოდში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებისას. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 51 ქულა წარმოადგენს სასწავლო კურსში კრედიტის მოსაპოვებლად აუცილებელ მინიმალურ ზღვარს[24], მაქსიმალური 100 ქულის პირობებში, 75 განისაზღვრა როგორც საშუალო მაჩვენებელი.

აღნიშნული მაჩვენებელი შერჩეულ იქნა 2 ძირითადი კრიტერიუმებიდან გამომდინარე:

1. *სტუდენტის მიერ ბაკალავრის დიპლომის მოპოვების შემდგომ, სწავლის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, 2.5 საშუალო შეწონილი ქულა უსდ-ების უმრავლესობის მინიმალური მოთხოვნაა, რაც, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ესწრაფვის განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციას, მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.*

[24] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 9.

2. *სწავლის დასრულების შემდგომ დასაქმების საწყის ეტაპზე, GPA კურსდამთავრებულის მიღწევების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, რასაც დამსაქმებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.*

დიაგრამა 3.1.2: 2014 წელს ყველა კურსდამთავრებულიდან საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების პროცენტული რაოდენობა უსდ-ების მიხედვით



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 2014 წელს 6,685 კურსდამთავრებულიდან **თსუ-ში 56%-მა, სტუ-ში 74%-მა** ხოლო **ილიაუნში 55%-მა** საშუალოზე დაბალი მოსწრებით მიიღო ბაკალავრის ხარისხი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახული ანალიზისთვის აუდიტის ჯგუფმა შეარჩია ის კურსდამთავრებულები, რომლებმაც 2010 წელს ერთიანი ეროვნულ **გამოცდებზე მიღებული მაღალი ქულების საფუძველზე** მოიპოვეს 50%-იანი ან მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტი და შესაბამისი უსდ 2014 წელს დაამთავრეს. შერჩეულ 3 უსდ-ში 1,677 ასეთი კურსდამთავრებულია.

აღნიშნული მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ ასეთი კურსდამთავრებულების საშუალოდ **40%-მა უსდ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაამთავრა.** შედეგები უსდ-ების მიხედვით ქვემოთ მოცემული დიაგრამის შესაბამისად გადანაწილდა.

დიაგრამა 3.1.3: 2010 წელს 50% და მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებული სტუდენტებიდან საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე კურსდამთავრებულების პროცენტული გადანაწილება უსდ-ების მიხედვით



ზემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს, რომ 2010 წელს 50% და მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებული სტუდენტებიდან: თსუ-ში - 35%-მა, სტუ-ში - 47%-მა ხოლო ილიაუნში 38%-მა საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა საბაკალავრო პროგრამა.

სრული სურათის შესაქმნელად, აუდიტის ჯგუფმა ასევე გააანალიზა იმ სტუდენტების აკადემიური მოსწრება, რომლებმაც 2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მიიღეს 30%-იანი სახელმწიფო დაფინანსება ან საერთოდ ვერ მიიღეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი. შერჩეულ უსდ-ებში 2,174 ასეთი სტუდენტი იყო. ამ სტუდენტების **61%-მა შესაბამისი უსდ 2014 წელს საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაამთავრა.** ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს, რომ მოცემული მაჩვენებელი უსდ-ების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: თსუ - 59%, სტუ - 63%, ხოლო ილიაუნი - 48%.

დიაგრამა 3.1.4: საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების პროცენტული წილი 30%-ით დაფინანსებული და დაუფინანსებელი სტუდენტებიდან უსდ-ების მიხედვით



3.2 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი

აუდიტის ჯგუფმა შერჩეულ უსდ-ებში ასევე გააანალიზა სტუდენტების აკადემიური მოსწრების მიმართულებით დღესდღეობით არსებული მდგომარეობა. ქვემოთ მოცემული დიაგრამები ასახავს შერჩეული 3 უსდ-ის ფარგლებში 2015-2016 სასწავლოს წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე დარეგისტრირებული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების აკადემიური შეფასებების ანალიზს.

სტუ-ის აქტიური სტუდენტების მოსწრების ანალიზი

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ანალიზის პერიოდში **ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამების** ფარგლებში წაკითხულ 82 საგანში დაწერილი შეფასებების მთლიანი ოდენობის **57% იყო საშუალოზე დაბალი,** 24% - საშუალოზე მაღალი, ხოლო შეფასების დანარჩენი **19% იყო არადამაკმაყოფილებელი,** რაც ნიშნავს რომ სტუდენტმა ვერ მოიპოვა კრედიტი აღნიშნულ საგანში.

დიაგრამა 3.2.1: სტუ-ში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული სტუდენტების აკადემიური შეფასებები



თსუ-ის აქტიური სტუდენტების მოსწრების ანალიზი

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში **ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამების** ფარგლებში წაკითხულ 179 საგანში დაწერილი შეფასებების მთლიანი ოდენობის **34% იყო საშუალოზე დაბალი**, ხოლო 18% - არადამაკმაყოფილებელი.

დიაგრამა 3.2.2: თსუ-ში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული აქტიური სტუდენტების აკადემიური შეფასებები



ილიაუნის აქტიური სტუდენტების აკადემიური მოსწრება

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს, რომ ანალიზის პერიოდში **ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამების** ფარგლებში წაკითხულ 111 საგანში დაწერილი შეფასებების მთლიანი ოდენობის **58% იყო საშუალოზე დაბალი,** 25% - საშუალოზე მაღალი, ხოლო 17% - არადამაკმაყოფილებელი.

დიაგრამა 3.2.3: ილიაუნში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში დარეგისტრირებული აქტიური სტუდენტების აკადემიური შეფასებები



3.3 სტუდენტთა ლექცია/სემინარზე დასწრების ანალიზი

საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების თანახმად, ლექცია/სემინარზე დასწრება არ წარმოადგენს სტუდენტის შეფასების აუცილებელ კომპონენტს. თუმცა, შერჩეულ უსდ-ებში დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების არარსებობის პირობებში, დასწრება ჯერ კიდევ რჩება სტუდენტების მიერ სწავლების შედეგების მიღწევის აუცილებელ წინაპირობად.

სტუდენტთა ლექცია/სემინარებზე დასწრებასთან დაკავშირებით, ზოგადი სურათის შესაქმნელად აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა ერთჯერადი დაკვირვება შერჩეულ 3 უსდ-ში. ვიზიტები განახორციელდა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, 6 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. აუდიტის ჯგუფი დააკვირდა სტუდენტთა დასწრებას ლექცია/სემინარებზე შესაბამისი განრიგით გათვალისწინებულ პერიოდში. დაკვირვებისთვის შერჩეულ ლექცია/სემინარებზე ჯამში 4,661 სტუდენტი იყო დარეგისტრირებული.

დიაგრამა 3.3.1: *შერჩეულ ლექცია/სემინარებზე სტუდენტთა დასწრების პროცენტული მაჩვენებელი რეგისტრირებულ სტუდენტებთან მიმართებაში*



ლექცია/სემინარებზე სტუდენტების დასწრების ანალიზმა გამოავლინა, რომ დაკვირვების ჩატარების დღეებში შერჩეულ ლექცია/სემინარებზე **დასწრების საერთო მაჩვენებელი 15% იყო**. როგორც ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი შერჩეული უსდ-ების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: **თსუ-ში 11% იყო, ილიაუნში – 22% და სტუ-ში –13%.**

4. სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები

წინა თავში განხილული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აუდიტის ფარგლებში შერჩეულ 3 უსდ-ში სტუდენტების მოსწრებისა და დასწრების საერთო მაჩვენებლები საშუალოზე დაბალია. აღნიშნული გარემოების გამომწვევ მიზეზებად შესაძლებელია სხვადასხვა გარე ფაქტორებიც დასახელდეს, თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია სათანადოდ განისაზღვროს უმაღლესი განათლების სისტემის წარმომადგენლების როლი.

არსებითად მნიშვნელოვანია უსდ-ებში სწავლის ისეთი სტრატეგიების შემუშავება და გამოყენება, რაც გულისხმობს უფრო აქტიურ, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც დაფუძნებული იქნება სტუდენტების გამოცდილებასა და ინტერესებზე და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობას.

სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სტუდენტების ჩართულობასა და მათ უკეთეს აკადემიურ მოსწრებას, მოიცავს:

- სტუდენტების დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობას;
- სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასების მეთოდებს;
- სწავლების დაფინანსების ისეთი სქემის შეთავაზებას, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების უკეთესი აკადემიური მოსწრების მიღწევას.[25]

4.1 უსდ-ებში სტუდენტების დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა

აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით, უსდ-ებში დახმარების სერვისების არსებობა ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური წარმატების მიღწევას[26]. ასეთ სერვისებში იგულისხმება ადმინისტრაციული და აკადემიური მიმართულებით დანერგილი სისტემური და ინდივიდუალურ დონეზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მექანიზმები. მნიშვნელოვანია, აღნიშნული დახმარების სერვისები ხელს უწყობდეს სტუდენტს პროფილის განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის მიღებასა და კონსულტაციაში. ზემოთ ხსენებული სტანდარტის მიხედვით, უსდ-მ აგრეთვე უნდა დანერგოს აკადემიური

[25] Glenda Crosling, Margaret Heagney, Liz Thomas, Improving Student Retention in Higher Education, Improving Teaching and Learning, Australian University Review, vol. 51, no. 2, 2009.

[26] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 15.

პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის (ტუტორინგის) ქმედითი და სისტემური მექანიზმი.[27]

4.1.1 უსდ-ები ვერ ახერხებენ სტუდენტური დახმარების სერვისებით ინდივიდუალური სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას

უსდ-ებში სტუდენტების დახმარების სერვისების ქმედითი სისტემის დანერგვის წინაპირობაა მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს უსდ-ებს ადრეულ ეტაპზე მოახდინონ ინდივიდუალური სტუდენტების აკადემიური საჭიროებების იდენტიფიცირება. ასეთი ანალიზის საფუძველზე, უსდ-ების მიერ განხორციელებულმა სათანადო და დროულმა ინტერვენციამ შესაძლებელია არსებითად გააუმჯობესოს სტუდენტის აკადემიური მოსწრება. პოტენციური რისკის ინდიკატორი შესაძლოა იყოს: სტუდენტთა დაბალი დასწრება, გამოცდების დაბალი ქულები და სხვ.

უსდ-ის მიერ განხორციელებული აკადემიური ინტერვენციის ფორმაა სტუდენტებისთვის შესაბამისი ინდივიდუალური დახმარების სერვისების შეთავაზება, მათ შორის:

- ტუტორინგი;
- რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების პროაქტიული კონსულტაცია/დაკვალიანება;
- კონსულტაცია კარიერის ან ძირითადი პროფილის არჩევის საკითხებში;
- სტუდენტების მიზნებისა და მოლოდინების განსაზღვრა, და სხვა.

არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ-ები სტუდენტებს შესაბამის დახმარებას უწევენ. ასეთი შემთხვევები შემდეგი ხასიათისაა:

- როდესაც სტუდენტი თავად მოახდენს სწავლების პროცესში აკადემიური ან ადმინისტრაციული პრობლემის იდენტიფიცირებას და შედეგად, მიმართავს უსდ-ში არსებულ შესაბამის დახმარების სერვისებს ან ფაკულტეტის ფარგლებში ნებისმიერ სამსახურს;
- როდესაც უსდ ახორციელებს მასშტაბური ხასიათის ღონისძიებებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს სთავაზობს უსდ-ში არსებულ სტუდენტური დახმარების სერვისებს, და სხვა.

როგორც ანგარიშის მე-2 თავში იქნა აღნიშნული, სამივე შერჩეულ უსდ-ს დანერგილი აქვს ელექტრონული სისტემა, რომელშიც აღირიცხება სტუდენტების მიერ მიღებული შეფასებები. თუმცა, შერჩეული 3 უსდ-დან არც ერთში არ არის დანერგილი სისტემური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უსდ-ს საშუალება ეძლევა სტუდენტების მოსწრებისა და დასწრების ანალიზის საფუძველზე მოახდინოს პრობლემური შემთხვევების იდენტიფიცირება, რის შედეგადაც მოხდება პრიორიტეტული ჯგუფების განსაზღვრა და შესაბამისი სტუდენტური დახმარების სერვისების ინდივიდუალურად შეთავაზება. ასეთი

[27] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 15, პუნქტი „ბ“.

მიდგომით, უსდ-ს შესაძლებლობა ეძლევა ნაადრევ ეტაპზე განახორციელოს პრობლემაზე ორიენტირებული ინტერვენცია და ამით ხელი შეუწყოს სტუდენტებს კურსით ან/და პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ შერჩეულ 3 უსდ-ში **არ ხდება სწავლის ადრეულ ეტაპზე, სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათთვის ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, სტუდენტური დახმარების სერვისის შეთავაზება**, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. აღნიშნული ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზია იმ სისტემური და ქმედითი მექანიზმის არარსებობა, რომლის მეშვეობითაც უსდ-ს საშუალება ეძლევა გამოავლინოს ინდივიდუალურ დონეზე ის გამოწვევები, რომლებსაც სტუდენტები სწავლის პროცესში აწყდებიან.

4.1.2 სტუდენტების დახმარების სერვისების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის ნაკლებობა

ლექტორების საკონსულტაციო საათები

ზემოხსენებული სტანდარტის თანახმად, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტების განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მთლიან პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ლექტორის სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა.[28] სტანდარტის მიხედვით, ლექტორებმა შესაბამისი კურსის ფარგლებში უნდა გამოყონ განსაზღვრული საკონსულტაციო საათები უსდ-ის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. აგრეთვე მნიშვნელოვანია ლექტორების მიერ თითოეულ კურსზე განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია (დღე, დრო და ადგილი) მარტივად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტი სასწავლო კურსის შესახებ ძირითად საკითხებს სილაბუსების მეშვეობით ეცნობა, საკონსულტაციო საათების შესახებ დეტალური ინფორმაციაც ხშირად იქვეა გათვალისწინებული.

აუდიტის ჯგუფის მიერ უსდ-ების წარმომადგენლებისგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში ყველა საგანში და ინფორმაცია ლექტორების საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ტერიტორიაზე არსებულ საინფორმაციო დაფაზე. თუმცა, შერჩეული ორი პროგრამის ფარგლებში მოწოდებული ყველა სილაბუსის ანალიზმა გამოავლინა, რომ თსუ-ის შემთხვევაში ლექტორების საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსების მხოლოდ 8%-ში იყო მითითებული. ილიაუნში სილაბუსების 18%-ში მითითებულია, რომ სტუდენტს

[28] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 15, პუნქტი „ბ“.

აღნიშნული ინფორმაცია ეცნობა სალექციო კურსის პირველ შეხვედრაზე, ხოლო სტუ-ში ასეთი ინფორმაცია არც ერთ სილაბუსში არ იყო მითითებული.

სტუდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სამივე უსდ-ის ფარგლებში გამოკითხულთა 40%-ს არ ჰქონდა ინფორმაცია სპეციალურად გამოყოფილი საკონსულტაციო საათების არსებობის შესახებ, ხოლო 23%-ს ასეთი ინფორმაციის ფლობის მიუხედავად, არ ჰქონია მცდელობა ლექტორისთვის მიემართა. სტუდენტების პასუხები უსდ-ების მიხედვით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა ასახული.

დიაგრამა 4.1.2.1: 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები



აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტების **60%-ს** სემესტრის განმავლობაში **დასჭრიდა** სასწავლო კურსში გავლილ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი **აკადემიური დახმარება.** როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს, ამავე დროს **სტუდენტების 40% არ იყო ინფორმირებული, რომ უსდ სთავაზობდა მათ ინდივიდუალურ აკადემიურ კონსულტაციას.**

უსდ-ებში არსებული საკონსულტაციო საათების ხელმისაწვდომობის ნაკლებობიდან გამომდინარე, სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში ვერ იღებენ ადეკვატურ დახმარებას. შედეგად, სტუდენტებს უჭირთ კურსის ფარგლებში განხილული მასალის ხარისხიანად და სრულად ათვისება.

დასაქმების სერვისები

უსდ-ებში არსებული დასაქმების სერვისების მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს ძირითადი პროფილის განსაზღვრაში, არჩეული მიმართულებით საჭირო საგნების არჩევასა და კარიერული ხედვის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულ სერვისს არსებითი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების იმ უნარებით აღჭურვაში, რომლებიც მათ შრომის ბაზარზე ორიენტირებაში დაეხმარება.

შერჩეული უსდ-ების **კურსდამთავრებულთა** გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ **45% არ ფლობს ინფორმაციას შესაბამის უსდ-ში დასაქმების სერვისების შესახებ**, ხოლო დანარჩენი რესპოდენტების **42%-ს საერთოდ არ მიუმართავს მსგავსი სერვისისთვის**. აუდიტის ჯგუფმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე გამოჰკითხა 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრზე დარეგისტრირებული სტუდენტები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ **88%-ს არ მიუმართავს დასაქმების სერვისისთვის ან არ ფლობს ინფორმაციას ასეთის არსებობის შესახებ**. გამოკითხვის შედეგები უსდ-ების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამაზე.

დიაგრამა 4.1.2.2: 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირებული აქტიური სტუდენტების გამოკითხვის შედეგები



სტუდენტები არ არიან სათანადოდ ინფორმირებული დამატებითი აკადემიური საკონსულტაციო საათებისა და დასაქმების სერვისების არსებობის შესახებ. აქედან გამომდინარე, სტუდენტები შესაბამისად ვერ იყენებენ აღნიშნულ სერვისებს. თავის მხრივ უსდ-ს არ აქვს დანერგილი მექანიზმი, რომელიც მას საშუალებას მისცემს მოახდინონ

ინდივიდუალური სტუდენტების აკადემიური საჭიროებების იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე შესთავაზონ სტუდენტებს შესაბამისი დახმარების სერვისები.

დასკვნა:

შერჩეული 3 უსდ-დან არც ერთს არ აქვს დანერგილი სისტემური და ქმედითი მექანიზმი, რომელიც სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების გზით საშუალებას მისცემს უსდ-ებს სწავლების ადრეულ ეტაპზე მოახდინონ სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირება და მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტებისთვის შესაბამისი სტუდენტური დახმარების სერვისების შეთავაზება.

იქიდან გამომდინარე, რომ შერჩეულ უსდ-ებში არ არის დანერგილი სტუდენტთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები, აღნიშნული სერვისები არ არის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სტუდენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა აღნიშნული სერვისების დახმარებით გაიუმჯობესონ აკადემიური მოსწრება და სრულად მიაღწიონ სწავლების შედეგებს.

4.2 ილიაუნის სტუდენტის შეფასების წესი არ ქმნის აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაციას

აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად, სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით[29].

სტუდენტის შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. კურსის განმავლობაში ყველა ტიპის შეფასებას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. უსდ-ები გამოცდებს იყენებენ სტუდენტების აკადემიური მოსწრების სრულფასოვნად შესაფასებლად, სტუდენტებს კი გამოცდა უქმნის აუცილებლობას, აითვისონ სასწავლოს კურსის განმავლობაში განვლილი მასალა და აგრეთვე შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები.

ილიაუნში სტუდენტისათვის ფინალური გამოცდის ჩაბარება ნებაყოფლობითია და ამავე დროს, შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. სასწავლო კურსებზე სტუდენტთა შეფასება ხდება ორი ან მეტი კომპონენტის მეშვეობით (შუალედური გამოცდით ან გამოკითხვის სხვა მეთოდებით).

[29] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მე-14 მუხლის „დ“ პუნქტი.

ილიაუნში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგმის სემესტრში ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამის საგნებისთვის ფინალური გამოცდის ქულა 30%-ს შეადგენდა, ხოლო ჩაბარება სავალდებულო არ იყო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოლო შუალედური გამოცდა ტარდება სასწავლო კურსის დამთავრებამდე, საშუალოდ, 4 კვირით ადრე. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზემოხსენებული საგნების სილაბუსები, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ბოლო შუალედური გამოცდის შემდეგ, სასწავლო კურსები დარჩენილ პერიოდში სასწავლო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისებას ითვალისწინებს.

საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა სტუდენტების შეფასებები ზემოთ აღნიშნული პერიოდისთვის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში შემავალ 10 სავალდებულო საგანზე, რომელზეც დარეგისტრირებული იყო 3268 სტუდენტი. ანალიზმა გამოვლინა, რომ სტუდენტების, საშუალოდ 36%-მა ფინალურ გამოცდაზე დასწრების გარეშე მოიპოვა კრედიტი შესაბამის კურსზე. არსებითია ის გარემოება, რომ აღნიშნული სტუდენტების საშუალოდ **80%-ის საბოლოო შეფასება საგანში 61 ქულაზე დაბალი იყო.** უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების დარჩენილ **20%-ს** გამოცდაზე გასვლის შემთხვევაში შეეძლო უმაღლესი შეფასების მიღება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია 10 სავალდებულო საგანზე დარეგისტრირებული სტუდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც გამოცდაზე დასწრების გარეშე შეძლო საგნის ჩაბარება.

დიაგრამა 4.2.1: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სავალდებულო საგნების იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც გამოცდაზე დასწრების გარეშე მოიპოვეს კრედიტი შესაბამის საგანში



განხორციელებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ილიაუნში სტუდენტები, რომლებიც არ აბარებენ ფინალურ გამოცდას, **დაბალი შეფასებით ასრულებენ საგანს.** აღნიშნული გამოწვეულია ნებაყოფლობითი ფინალური გამოცდის მექანიზმით. შედეგად, ცხადია, რომ

სტუდენტებს არ აქვთ უკეთესი შედეგების მიღწევისა და სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის სრულყოფილად ათვისების მოტივაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებაში 2016 წლის 29 იანვარს შევიდა ცვლილება, რომელიც 2016 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და რომლის მიხედვითაც დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის გარეშე საგნისთვის კრედიტის მინიჭება[30]. ილიაუნში, აღნიშნული თარიღიდან, სავალდებულო უნდა გახდეს ყველა სტუდენტისთვის დასკვნითი გამოცდის ჩაბარება.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ილიაუნს არ აქვს შემუშავებული შესაბამისი წესი და არ ახორციელებს სტუდენტის საშუალო შეწონილი ქულის (GPA) გამოთვლას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს GPA-ს გაანგარიშების სტანდარტიზებული წესი, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონეზე არსებული უსდ-ების უმრავლესობა **ახდენს GPA-ს დაანგარიშებას,** რაც საშუალებას იძლევა სტუდენტების მოსწრება გაიზომოს საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდით.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა უსდ-ებს სწავლის გაგრძელების მსურველებისთვის განსაზღვრული აქვთ GPA-ს მაჩვენებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტები სწავლის ადრეულ ეტაპზე იყვნენ ინფორმირებულნი თუ როგორ გამოისახება მათი აკადემიური მაჩვენებლები GPA-ს დათვლის წესით. აღნიშნული სწავლის ადრეულ ეტაპზე აძლევს სტუდენტებს საშუალებას საჭიროებიდან გამომდინარე გამოასწორონ აკადემიური მოსწრება, რათა ხელი არ შეეშალოთ სწავლის გაგრძელებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია, მნიშვნელოვანია უსდ-მა ხელი შეუწყონ სტუდენტებს სწავლის გაგრძელებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

დასკვნა:

აუდიტის ანალიზისთვის შერჩეული იმ სტუდენტების 80%-ის შეფასება, რომლებმაც ფინალური გამოცდის გარეშე მოიპოვეს კრედიტი შესაბამის საგანზე, 61 ქულაზე დაბალი იყო. აღნიშნულ გარემოებას ხელს უწყობს ილიაუნში არსებული შეფასების წესი, რომლის მიხედვით ფინალური გამოცდა არ არის სავალდებულო. შესაბამისად, სტუდენტთა ნაწილი მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემდეგ კარგავს სასწავლო კურსის დარჩენილ პერიოდში მასალის სრულად ათვისებისა და ფინალური გამოცდის ჩაბარების მოტივაციას.

[30] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 3.

4.3 სახელმწიფო დაფინანსების არსებული სქემა ხელს არ უწყობს სტუდენტის მოტივაციას

საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის თანახმად, სტუდენტი, რომელიც იღებს სასწავლო გრანტს, დაფინანსების შესანარჩუნებლად ვალდებულია ისწავლოს პროგრამისთვის გათვალისწინებული სრული გრაფიკით და დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული აკადემიური მოსწრების წინასწარ დადგენილი მისაღები ზღვარი.

სწავლების დაფინანსების ასეთი სქემა არა მხოლოდ ხელს უწყობს დაფინანსებულ სტუდენტებს გამოიჩინონ მეტი ძალისხმევა და შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური მოსწრება, არამედ ითვალისწინებს ფინანსური დონორის, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ინტერესებსაც.

სწავლის დაფინანსების არსებული სისტემა საქართველოში 2005 წელს დაინერგა[31]. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო სასწავლო გრანტი გადაეცემა იმ სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში სხვებთან შედარებით უკეთესი შედეგი აქვთ.

მიიჩნევა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები საკმაოდ კონკურენტულია და მათი წარმატებით ჩაბარება დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, არსებობს მოლოდინი, რომ ასეთი სტუდენტები მაღალ აკადემიურ მოსწრებას შეინარჩუნებენ უსდ-ში სწავლის პროცესში.

აუდიტის ანგარიშის მესამე თავში განხილული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 50%-ით და მეტით დაფინანსებული სტუდენტების საშუალოდ **40%-მა შერჩეულ 3 უსდ-ში ვერ შეძლო აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლის შენარჩუნება.** იქედან გამომდინარე, რომ არსებული სქემის პირობებში სწავლის დაფინანსების შენარჩუნება სტუდენტისგან არ მოითხოვს არანაირ დამატებით ძალისხმევას, უსდ-ში სწავლის პროცესში, **მათ ნაკლები მოტივაცია აქვთ გაიუმჯობესონ ან/და შეინარჩუნონ თავიანთი აკადემიური მოსწრება.** შედეგად, სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად დაფინანსებულ სტუდენტებს შორის ხვდებიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც **სრულად ვერ აღწევენ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ შედეგებს**.

დასკვნა:

იქიდან გამომდინარე, რომ არსებული სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების სქემის თანახმად, სტუდენტები დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის მიუხედავად ინარჩუნებენ სასწავლო გრანტს, იმ სტუდენტების საშუალოდ 40%-მა, რომელთაც 2010 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მაღალი შედეგები აჩვენეს, შერჩეული უსდ-ები საშუალოზე დაბალი მოსწრებით დაამთავრა. არსებული სახელმწიფო დაფინანსების სქემა სტუდენტებს არ უქმნის მოტივაციას, შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური მოსწრება, რაც

[31] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, №688, სსმ 2, 10/01/2005, 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის დადგენილება №13 „სახელმწიფო სასწავლო გრანტის საფასურის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

ნიშნავს, რომ აღნიშნული სტუდენტები სრულად ვერ აღწევენ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს.

რეკომენდაციები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს:

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ ისეთი ქმედითი და სისტემური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების გზით სტუდენტების სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. აღნიშნულ მექანიზმი საშუალებას მისცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ადრეულ ეტაპზე სტუდენტებისთვის საჭირო დახმარების სერვისების შეთავაზებით ხელი შეუწყოს სტუდენტების აკადემიურ პროგრესს.
- უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში არსებული სტუდენტური დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შერჩეულმა უმაღლეს საგანანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ სტუდენტების ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები. აღნიშნული, დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაზარდონ სტუდენტების მიერ სტუდენტების დახმარების სერვისების (საკონსულტაციო საათები და დასაქმების სერვისები) გამოყენების მაჩვენებელი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს საჭირო აკადემიური დახმარების მიღებასა და კარიერული ხედვის ჩამოყალიბებაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრობლობით უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების ისეთი სქემა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად დაფინანსებულ სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას, შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური მოსწრება და სრულად მიაღწიონ საგანმანათლებლო პროგრამებით დასახულ სწავლების შედეგებს. ამგვარი მიდგომა, შესაძლებლობას მისცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, **გაზარდოს მოტივირებული სტუდენტების რაოდენობა.**

5. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

უსდ-ებმა უნდა შეძლონ უპასუხონ მუდმივად ცვალებადი და კონკურენტული შრომის ბაზრის მოთხოვნებს და შესაბამისად ადაპტირდნენ, რაც საგანმანათლებლო პროგრამის **მუდმივ განვითარებას** საჭიროებს.[32]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ებმა უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის **რეგულარული შეფასება** და **შესაბამისი ცვლილებების განხორციელება**. აღნიშნული პროცესის გამოსახვა ქვემოთ მოცემული უწყვეტი ციკლის სახით არის შესაძლებელი:

სქემა 5.1: *საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ციკლი*



შერჩეული უსდ-ების მიერ დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმების ეფექტიანობის შესაფასებლად, აუდიტის ჯგუფმა გააანალიზა უსდ-ების რელევანტური პრაქტიკა ორ ყველაზე მოთხოვნად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით:

- ბიზნესის ადმინისტრირება;
- სამართალი.

[32] IMHE- Institutional Management of Higher Education – Fostering Quality Teaching in Higher Education: Policies and Practices, 2012.

5.1 უსდ-ები ვერ იღებენ სრულფასოვან უკუგებას დაინტერესებული მხარეებისგან

აკრედიტაციის სტანდარტი მოითხოვს სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად შიდა და გარე **შეფასების გამოყენებას**[33] და აღნიშნულ პროცესში **დაინტერესებული მხარეების** (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) **ჩართვას**[34]. დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ უკუგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის აუცილებელი ცვლილებების განსასაზღვრად.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ებმა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე ინფორმაციის მოპოვება იმ ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის ყველაზე **სრული და ობიექტური უკუგების მიღებას.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების უშუალო მომხმარებლების (ბენეფიციარების), **სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების** ჩართულობის უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმები.

პროგრამის განვითარების პროცესში **სტუდენტების ჩართულობა** მათი გამოკითხვის გზით ხორციელდება. მიღებული პრაქტიკის თანახმად, კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის სრულად შესაფასებლად სტუდენტების გამოკითხვა ყოველი სემესტრის ბოლოს უნდა მოხდეს.

აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები მიმდინარე სასწავლო პროცესის აფასებენ, რაც დროული და ეფექტიანი რეაგირების საშუალებას იძლევა. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისგან უკუგების მიღება ნაკლებ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, რადგან ისინი ყოველდღიურად არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში და დაინტერესებულნი არიან პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებით.

აკრედიტაციის სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის სხვადასხვა მიმართულებით ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს, რომელთა მიმართებაშიც სტუდენტების უკუგების მიღება მნიშვნელოვანია:

- სასწავლო მასალის, შეფასებისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
- სათანადო კომპეტენციის პერსონალი.

[33] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი „ე“.
[34] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“.

არსებითია, რომ უსდ სრულფასოვნად აფასებდეს აღნიშნულ მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობას. ამისთვის, სტუდენტებისგან მიღებული უკუგება მაქსიმალურად უნდა ფარავდეს ზემოხსენებულ მიმართულებებს.

კურსდამთავრებულებისგან მიღებულ შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისთვის არსებითი დატვირთვა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ იღებდეს სისტემატურ უკუგებას კურსდამთავრებულების მიერ მიღწეულ სწავლების შედეგებთან და მათი დასაქმების მაჩვენებლებთან დაკავშირებით. ამგვარი ანალიზი არსებითად უადვილებს უსდ-ს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შეფასებას, რაც სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს.[35]

აუდიტის ჯგუფმა შერჩეული საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში შეისწავლა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან უკუგების მიღების მიზნით დანერგილი მექანიზმები. **ილიაუნში** საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში ზემოხსენებული დაინტერესებული მხარეების ჩართვას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდული გამოკითხვების მეშვეობით ახორციელებს. ამ მიმართულებით, **სტუ-ისა** და **თსუ-ის** მიერ განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ სტუდენტებზეა ორიენტირებული.

აღნიშნულ პროცესებზე დაკვირვებისას აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა სტუ-სა და თსუ-ში დანერგილი მექანიზმების ნაკლოვანება, რაც უფრო დეტალურად არის განხილული ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში.

სტუ ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სისტემურ და სრულფასოვან ჩართვას პროგრამების შეფასების პროცესში

აუდიტის პერიოდში 2 შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში **სტუ-ს** არ განუხორციელებია **კურსდამთავრებულთა** გამოკითხვა ან სხვა ფორმით საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში მათი ჩართვა.

სასწავლო პროცესის შეფასებაში **სტუდენტების** ჩართვას სტუ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით მათი გამოკითხვის გზით ახორციელებს. გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარი ძირითადად ორიენტირებულია ლექტორების მიერ შესრულებულ სამუშაოზე და **არ აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას შეაფასონ სასწავლო კურსის ყველა დანარჩენი ელემენტი,** მათ შორის: კურსით გათვალისწინებული საკითხები, სასწავლო მასალები, სასწავლო მეთოდები, სტუდენტთა შეფასების მეთოდები და სხვ. მხოლოდ ამ კითხვარის მეშვეობით, უსდ ვერ ახერხებს სტუდენტებისგან საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით **სრულფასოვანი უკუგების მიღებას**.

[35] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი „დ“.

2011 წელს **სტუ-ის** რექტორის ბრძანების საფუძველზე[36] შეიქმნა **კომისიები,** რომელთა მიზანიც არის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, ლექტორები და სტუდენტები. შესაბამისად, აღნიშნული კომისია წარმოადგენს ერთ-ერთ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც სტუ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვას. კომისიას ევალება წინასწარ დადგენილი კითხვარის მეშვეობით ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული მუშაობისა და პრაქტიკული მეცადინეობის შეფასება. სტუდენტთა გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარის მსგავსად, აღნიშნული კითხვარიც **ორიენტირებულია ლექტორთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე.**

საგულისხმოა, რომ შექმნიდან დღემდე, შერჩეული 2 პროგრამის ფარგლებში, აღნიშნულმა კომისიამ სულ 21 ლექტორის საქმიანობა შეაფასა. ყველა ასეთი შეფასება 2011-2012 წლებში, პროგრამების მიერ აკრედიტაციის მოპოვებამდე განხორციელდა და მასში კომისიის შემადგენლობაში მყოფ **სტუდენტებს მონაწილეობა არ მიუღიათ**, ხოლო, **ლექტორებიდან** შეფასებაში ჩართული იყო **მხოლოდ ორი**.

ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ 5 წლის განმავლობაში კომისიის საქმიანობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. შეფასების პროცესში არ მონაწილეობენ კომისიის შემადგენლობაში მყოფი ლექტორები და სტუდენტები და შესაბამისად, **კომისია ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში დაინტერესებული პირების ჩართვას.** შეფასება ხორციელდება კითხვარის მეშვეობით, რომელიც არ ითვალისწინებს სასწავლო კურსის მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომელთა შეფასებაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივი განვითარებისთვის და წარმოადგენს კომისიის ძირითად მიზანს.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუ ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში **დაინტერესებული მხარეების სისტემურ ჩართვას, რაც გულისხმობს სისტემაში დანერგილი მექანიზმის მეშვეობით მათგან რეგულარული და სრულფასოვანი უკუგების მიღებას სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტზე.**

თსუ ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების სისტემურ და სრულფასოვან ჩართვას პროგრამების შეფასების პროცესში

თსუ-ში, 2012 წელს უსდ-ის დაკვეთით ACT-მ განახორციელა ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა, რომელიც მოიცავდა კურსდამთავრებულთა თვისობრივ

[36] სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის №25 ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი დამტკიცების შესახებ“.

კომპონენტს.[37] ამავე წელს, სამართლის პროგრამასთან მიმართებაში თსუ-მა გამოჰკითხა 39 კურსდამთავრებული, რომლებმაც აღნიშნულ უსდ-ში სწავლა სხვადასხვა წელს დაამთავრეს.

2012 წლის შემდეგ თსუ-ს 2 შერჩეული პროგრამის ფარგლებში არ განუხორციელებია კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არ არის დანერგილი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უნდა **ხორციელდებოდეს კურსდამთავრებულთა სისტემატური და სრულფასოვანი გამოკითხვა.** შედეგად, არ ხდება იმ ცვლილებების იდენტიფიცირება და გათვალისწინება, რომლებიც აუცილებელია პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტების განვითარებისთვის.

დასკვნა:

სტუ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით სტუდენტებისგან მიღებული უკუგება ორიენტირებულია მხოლოდ ლექტორის საქმიანობაზე და არ მოიცავს სტუდენტების შეფასებას აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებზე, როგორიცაა, სწავლების მეთოდები, სასწავლო მასალა, შეფასების მეთოდები და სხვ.

იქიდან გამომდინარე, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში მონაწილეობას არ იღებენ კომისიის შემადგენლობაში მყოფი სტუდენტები და ლექტორები, კომისია სრულად ვერ უზრუნველყოფს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას - ჩართოს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეები.

ამასთანავე, შესაბამისი მექანიზმების არარსებობის გამო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში საერთოდ არ არიან ჩართულნი კურსდამთავრებულები.

ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებები გამოწვეულია შესაბამისი მექანიზმების არ არსებობით, რაც ხელს უშლის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირებას და სწავლების შედეგების ხარისხის გაუმჯობესებას.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შესაბამისი მექანიზმის არარსებობის გამო, თსუ ვერ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში კურსდამთავრებულთა სისტემატურ და სრულფასოვან ჩართვას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მიერ დასახული სწავლების შედეგებისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის.

[37] ACT - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა, 2012.

5.2 უსდ-ები ეფექტიანად არ რეაგირებენ მიღებულ უკუგებაზე

აკრედიტაციის სტანდარტი მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი სისტემის დანერგვას, რაც პროგრამების მუდმივ განვითარებას გულისხმობს[38]. აღნიშნული ასევე გათვალისწინებულია უსდ-ებში არსებული შიდა რეგულაციებით[39].

მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ებმა სათანადოდ გააანალიზონ და მაქსიმალურად გამოიყენონ დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუგება და გამოვლენილ ნაკლოვანებებზე ეფექტიანი რეაგირების გზით მუდმივად იზრუნონ საგანმანათლებლო პროგრამისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

აღნიშნული მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამაში რეგულარული ცვლილებების განხორციელებას, რამაც სხვადასხვა ფორმა შეიძლება მიიღოს:

- სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალის ან სასწავლო კურსის მთავარი საკითხების ცვლილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ცვლილება ცალკეული სასწავლო კურსის ან მოდულის დამატებით, გაუქმებით ან მოდიფიცირებით;
- შეფასების საფუძველზე ლექტორის შეცვლა ან შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების უზრუნველსაყოფად, უსდ-ების მიერ განხორციელებული ცვლილებები უნდა იყოს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუგების შესაბამისი ისევე, როგორც მიზანშეწონილი და ეფექტიანი.

ამასთანავე, მნიშნელოვანია, აღნიშნული ცვლილებები იმგვარად იყოს დოკუმენტირებული, რომ დაინტერესებული პირებისთვის (გარე შემფასებლები და სხვ.) შესაძლებელი იყოს ცალკეული ცვლილების იდენტიფიცირება და მისი შედეგების შეფასება.

[38] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 1.

[39] სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №1125 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი“, პუნქტი 12; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, მუხლი 2; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 11 მარტის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტუ-ის **ბიზნესის ადმინისტრირების** პროგრამას აკრედიტაცია 2012 წელს მიენიჭა.[40] აკრედიტაციის მიღებიდან დღემდე პროგრამაში განხორციელდა ორი ცვლილება: არჩევით კურსებს დაემატა საგანი „საინჟინრო მენეჯმენტის საფუძვლები“[41] და შეიცვალა საგნების საათობრივი დატვირთვა.[42]

2012 წელს მიენიჭა აკრედიტაცია ასევე სტუ-ის **სამართალმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამას.[43] აკრედიტაციის მიღებიდან დღემდე შერჩეულ პროგრამაში განხორციელდა ორი ცვლილება: ამ შემთხვევაშიც შეიცვალა საგნების საათობრივი დატვირთვა[44] და პროგრამის ხელმძღვანელი[45].

აღნიშნული გარემოების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ 2012 წლიდან 2016 წლის პირველ ნახევრამდე შერჩეულ 2 პროგრამაში განხორციელდა **მხოლოდ 3 ცვლილება** რომლიდანაც არც ერთი არსებით **გავლენას არ ახდენს პროგრამის განვითარებაზე.**

ზემოთ განხილული 3 ცვლილებიდან, ხაზგასასმელია ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართალმცოდნეობის პროგრამაში 2016 წელს შესული ცვლილება საგნების საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებით ყველა სასწავლო კურსს შეუმცირდა საკონტაქტო საათი და გაიზარდა სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის დატვირთვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების თანახმად, ასეთი გადანაწილება უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომლის სისწორეც სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაციით უნდა გადამოწმდეს.[46] აქედან გამომდინარე, სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის დატვირთვის ცვლილება უნდა განხორციელდეს მათი გამოკითხვის საფუძველზე, რაც ცალსახად გამოავლენს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შემცირების ან ზრდის საჭიროებას. მოცემულ შემთხვევაში, **სტუ-მა ცვლილება სტუდენტებისგან აუცილებელი უკუგების მიღების გარეშე განახორციელა.** აღნიშნული ქმნის იმის რისკს, რომ საგანანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილების

[40] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №460 გადაწყვეტილება.
[41] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება №943.
[42] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2028.
[43] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის №450 გადაწყვეტილება.
[44] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2028.
[45] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №1349.
[46] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 4.

შედეგად, სტუდენტებს ექნებათ კრედიტთან შეუსაბამო დატვირთვა, რამაც შეიძლება უარყოფიდან იმოქმედოს მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

აკრედიტაციის მოპოვების მომენტიდან განხორციელებული ცვლილებების სიმცირე ცხადყოფს, რომ არ ხდება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით მათი სისტემატური განახლება, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სტუ ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისგან სრულფასოვანი უკუგების მიღებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2012 წელს ACT-ის მიერ თსუ-ის დაკვეთით ჩატარებულმა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევამ[47] ძირითად პრობლემად გამოავლინა **პრაქტიკული ცოდნის დეფიციტი და სასწავლო ლიტერატურის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი.** კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულებით გაუმჯობესების საჭიროება, რაც მოიცავდა **უცხოური ენების სწავლებას, სასწავლო მეთოდებს** და ა.შ..

იგივე პრობლემური მხარეები იქნა იდენტიფიცირებული თსუ-ის მიერ განხორციელებული 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტების გამოკითხვის შედეგად. აღნიშნულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამებთან დაკავშირებით სტუდენტები ხაზს უსვამენ შემდეგი ნაკლოვანებების არსებობას:

- *სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით, **საჭიროა სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესება**, რაც ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით გამოიხატება უახლესი მასალებით გამდიდრებული და გადამუშავებული ახალი სახელმძღვანელოების მომზადებით;*
- *კომენტარების მიხედვით, საჭიროა მთელ რიგ სასწავლო კურსებში **სწავლების მეთოდების გაუმჯობესება**. კერძოდ, სტუდენტების სურვილია, **პრაქტიკული** ამოცანებითა და სავარჯიშოებით, კონკრეტული შემთხვევების ანალიზით (ე.წ. case studies) და ეკონომიკური თუ ბიზნეს-ქეისების განხილვებით სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობათა კიდევ უფრო მეტად გამდიდრება;*
- *სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით საჭიროა, სასწავლო პროგრამების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიც **პრაქტიკაა გახდეს უფრო მეტად ორგანიზებული, უფრო მრავალფეროვანი, ადექვატური, შინაარსიანი და პროფილის შესაბამისი**.*[48]

[47] ACT - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა, 2012.

[48] სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2015 წლის 27 აპრილის ბრძანება №01/03 „2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების თაობაზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის დამტკიცების შესახებ“.

იდენტური შედეგები გამოვლინდა თსუ-ის მიერ განხორციელებული **2015-2016 წლის** შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგად[49], რაც მიანიშნებს, რომ თსუ-მა ვერ მოახერხა **2012 წლიდან დღემდე** აღნიშნულ ნაკლოვანებებზე ეფექტიანი რეაგირება.

2012 წელს თსუ-ის მიერ სამართლის პროგრამასთან დაკავშირებით განხორციელებული დამსაქმებლების გამოკითხვის თანახმად, **რესპოდენტთა 90%** მიიჩნევს, რომ სასურველია კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული უცხო ენის ცოდნის დონე იყოს უფრო მაღალი.

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს, აუდიტის ჯგუფის მიერ 2016 წელს განხორციელებული გამოკითხვის შედეგად, კურსდამთავრებულთა **91%** მიიჩნევს, რომ თსუ-ში სწავლების შედეგად **არ გაუუმჯობესდა** ან მხოლოდ **უმნიშვნელოდ გაუუმჯობესდა** უცხო ენის ცოდნის დონე.

დიაგრამა 5.2.1: თსუ-ის კურსდამთავრებულთა შეფასება უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით



აღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში თსუ-ის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში **პრობლემური ტენდენცია უცვლელია.** აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თსუ-მა **ვერ გადადგა ქმედითი ნაბიჯები** ამ მიმართულებებით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

[49] სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2016 წლის 10 მარტის ბრძანება №01/03 „2015-2016 წლის სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების თაობაზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის დამტკიცების შესახებ“.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ილიაუნში 2012 და 2014 წელს შერჩეული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.[50] ილიაუნის მიერ 2012 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ უსდ-ში არსებობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების საჭიროება. 2014 წლის გამოკითხვის შედეგად კი გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა **ნახევარზე მეტი** მიიჩნევს, რომ უსდ-ში სწავლამ არ შეუწყო ხელი პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. აღნიშნული მაჩვენებელი ბიზნესის ფაკულტეტზე **52%-ს**, ხოლო სამართლის ფაკულტეტზე - **56%-ს** შეადგენდა.

ამავე დროს, 2016 წელს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვის რესპოდენტთა **60%** აღნიშნავს, რომ გაიუმჯობესებდა აკადემიურ მოსწრებას ილიაუნის მხრიდან უფრო **ინტერაქტიული და პრაქტიკულ ცოდნაზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდების** შეთავაზების შემთხვევაში.

აუდიტის ჯგუფის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ 2012 წელს ილიაუნის მიერ განხორციელებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული **პრობლემური მხარე ისევ აქტუალურია.** აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ილიაუნმა **სრულად ვერ მოახერხა მიღებულ უკუგებაზე ეფექტიანი რეაგირება.**

შერჩეულ უსდ-ებში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შერჩეული უსდ-ები სრულფასოვნად ვერ იყენებენ დაინტერესებული პირებისგან მიღებულ უკუგებას და ეფექტიანად არ რეაგირებენ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას არ აქვს სისტემური და ქმედითი ხასიათი.

დასკვნა:

იქიდან გამომდინარე, რომ სტუ დაინტერესებული პირებისგან არ იღებს სრულფასოვან უკუგებას, ვერ ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირება და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას არ აქვს ქმედითი და სისტემატური ხასიათი, რაც აკრედიტაციის სტანდარტის ერთერთ მოთხოვნას წარმოადგენს.

2012 წლიდან თსუ-ისა და ილიაუნის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში დაინტერესებული მხარეები სისტემატურად მიუთითებენ ერთსა და იმავე ნაკლოვანებების არსებობაზე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ თსუ-მა და ილიაუნმა ვერ

[50] სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, 2012 წელი; სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, 2012 წელი.

მოახდინეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე ეფექტიანი რეაგირება.

რეკომენდაციები

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს:

- სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმი, რომლიც საშუალებას მისცემს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, რეგულარულად და სრულფასოვნად შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესი. აღნიშნულმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს შეფასების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ ყველა შესაბამის მოთხოვნასთან მიმართებაში. ასეთი უკუგების მიღება დაეხმარება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს საგანმანთლებლო პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ინტერვენციების განსაზღვრაში.
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს კომისიების შემადგენლობაში დაინტერესებული მხარეების ჩასართავად საჭირო მექანიზმები და უზრუნველყოს კომისიების შემადგენლობაში არსებული სტუდენტებისა და ლექტორების ჩართულობა კომისიების მიერ განხორციელებულ შეფასების პროცესში. საფაკულტეტო კომისიების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, კომისიების საქმიანობა უნდა ფარავდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის მოთხოვნას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, საფაკულტეტო კომისიების შეფასებების შედეგად საგანმანთლებლო პროგამების განვითარების მიზნით საჭირო ინტერვენციების იდენტიფიცირებაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს:

› სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება კურსდამთავრებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი და რეგულარული შეფასება. ასეთი უკუგების მიღება დაეხმარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ინტერვენციების განსაზღვრაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს:

› უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული მხარეებისგან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სხვ.) მიღებული უკუგების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2014 წელს შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **კურსდამთავრებულთა 64%-მა საბაკალავრო პროგრამა საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაამთავრა**. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით დაასრულა საბაკალავრო პროგრამა **იმ სტუდენტების საშუალოდ 40%-მა, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგები აჩვენეს**. ამასთანავე, აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ შერჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექცია/სემინარებზე **დასწრების საერთო მაჩვენებელი მხოლოდ 15% იყო**.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვთ პოტენციალი, შექმნან მეტი წინაპირობა იმისთვის, რომ სტუდენტებმა სწავლის სრული პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნონ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლების შედეგებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევის მოტივაცია.

სტუდენტური დახმარების სერვისების მიმართ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროაქტიული მიდგომა არსებითად შეუწყობს ხელს სტუდენტებს სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. ამისთვის საჭიროა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დანერგონ დახმარების სერვისების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები.

გარდა ამისა, აღნიშნული სერვისების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც საშუალებას მისცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების გზით, სწავლის ადრეულ ეტაპზე მოახდინონ ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირება და მათთვის შესაბამისი სტუდენტური დახმარების სერვისების შეთავაზება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ სტუდენტების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დაძლევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო დაფინანსების ისეთი სქემის შემუშავება, რომელიც სტუდენტებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მოტივაციას შეუქმნის.

განათლების მისაღები ხარისხის მისაღწევად აუცილებელია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მუდმივად იზრუნონ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად

ჩართვა დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე სრულფასოვანი ინფორმაციის მიღებასა და პროგრამაში საჭირო ინტერვენციების იდენტიფიცირებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დროულად და ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება აღნიშნული პროცესის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხს.

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრობლობით უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო სასწავლო დაფინანსების ისეთი სქემა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად დაფინანსებულ სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას, შეინარჩუნონ მაღალი აკადემიური მოსწრება და სრულად მიაღწიონ საგანმანათლებლო პროგრამებით დასახულ სწავლების შედეგებს. ამგვარი მიდგომა, შესაძლებლობას მისცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **გაზარდოს მოტივირებული სტუდენტების რაოდენობა.**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს:

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ ისეთი ქმედითი და სისტემური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასწრებაზე დაკვირვების გზით სტუდენტების სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას მისცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ადრეულ ეტაპზე სტუდენტებისთვის საჭირო დახმარების სერვისების შეთავაზებით ხელი შეუწყოს სტუდენტების აკადემიურ პროგრესს.
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სტუდენტური დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შერჩეულმა უმაღლეს საგანანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ სტუდენტების ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭირო მექანიზმები. აღნიშნული, დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაზარდონ სტუდენტების მიერ სტუდენტების დახმარების სერვისების (საკონსულტაციო საათები და დასაქმების სერვისები) გამოყენების მაჩვენებელი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს საჭირო აკადემიური დახმარების მიღებასა და კარიერული ხედვის ჩამოყალიბებაში.
- უმაღლესმა საგანანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დანერგონ მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული მხარეებისგან

(სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და სხვ.) მიღებული უკუგების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს:

- სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმი, რომლიც საშუალებას მისცემს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე რეგულარულად და სრულფასოვნად შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესი. აღნიშნულმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს შეფასების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ ყველა შესაბამის მოთხოვნასთან მიმართებაში. ასეთი უკუგების მიღება დაეხმარება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ინტერვენციების განსაზღვრაში.
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს კომისიების შემადგენლობაში დაინტერესებული მხარეების ჩასართავად საჭირო მექანიზმები და უზრუნველყოს კომისიების შემადგენლობაში შემავალი სტუდენტებისა და ლექტორების ჩართულობა კომისიების მიერ განხორციელებულ შეფასების პროცესში. საფაკულტეტო კომისიების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, კომისიების საქმიანობა უნდა ფარავდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის მოთხოვნას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს საფაკულტეტო კომისიების შეფასებების შედეგად საგანმანათლებლო პროგამების განვითარების მიზნით საჭირო ინტერვენციების იდენტიფიცირებაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება კურსდამთავრებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი და რეგულარული შეფასება. ასეთი უკუგების მიღება დაეხმარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის საჭირო ინტერვენციების განსაზღვრაში.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;

ევროპის განათლების მინისტრების ერთობლივი დეკლარაცია, ბოლონია, 1999 წლის 19 ივნისი;

ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკე, პრაღა, 2001 წლის 19 მაისი;

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ბერლინი, 2003 წლის 19 სექტემბერი;

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი;

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: მზადება გლობალიზაციის გამოწვევებისთვის, ლონდონის კომუნიკე, 2007 წლის 18 მაისი;

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ლუვენი, 2009 წლის 28-29 აპრილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011წლის 15 სექტემბრის ბრძანება №154/ნ „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 აპრილის №1126 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის ცვლილების შესახებ“;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 23 იანვრის ბრძანება №01/01-01 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი №1;

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის №7 სხდომის გადაწყვეტილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი“;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის ბრძანება №25 „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი დამტკიცების შესახებ“;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №1125 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი“;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 11 მარტის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №460 გადაწყვეტილება;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება №943;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2028;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის №450 გადაწყვეტილება;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №1349;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2015 წლის 27 აპრილის ბრძანება №01/03 „2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების თაობაზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2016 წლის 10 მარტის ბრძანება №01/03 „2015-2016 წლის სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების თაობაზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები:

ACT - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა“, 2012;

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები; ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 18.02.2016;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“, 2011;

Glenda Crosling, Margaret Heagney, Liz Thomas, „Improving Student Retention in Higher Education, Improving Teaching and Learning, Australian University Review“, vol. 51, no. 2, 2009;

IMHE- Institutional Management of Higher Education; „Fostering Quality Teaching in Higher Education: Policies and Practices“, 2012;

ვებ–გვერდები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – www.mes.gov.ge

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – www.naec.ge

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – www.tsu.edu.ge

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – www.iliauni.edu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – www.gtu.ge

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი – www.eqe.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი. ქ. წამებულის გამზირი N96
ტელ: +995 32 2438438